With an in-depth discussion of the geopolitical reality and ethnic politics, we analyzed the Georgian conflicts in our dissertation, which we discussed in two directions. In particular, we discussed the causes of the conflicts, both international and domestic. The paper focuses on the involvement of an international actor in the conflict, which manifested itself in various peace formats in the aftermath of the 2008 Russia-Georgia war. A separate chapter in the dissertation was devoted to discussing our model of problem solving with Abkhazia and the Tskhinvali region.

23. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე, საგარეო პოლიტიკის როგორც პოლიტიკური ანალიზის ობიექტზე, ეროვნულ ინტერესებზე თანამედროვე სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში. ნაშრომში განხილულია ამერიკის საგარეო

პოლიტიკის თანამედროვე ტენდენციები სპარსეთის ყურეში, ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური ინტერესები სპარსეთის ყურეში ამერიკის თანამედროვე საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის რეალიზაციის კონტექსტში.

The scientific work focuses on the theoretical and methodological foundations of the study of the foreign policy of the modern states, the object of the foreign policy as political analysis, national interests in the foreign policy of the modern states. This scientific work there is discussed the current trends of the United States foreign policy in the Persian Gulf, the national interests of the United States in the context of the implementation of the modern American foreign policy strategy in the Persian Gulf.

24. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია გაანალიზდეს საერთაშორისო ფაქტორების, უმთავრესად, ევროპის გავლენა საქართველოს ინსტიტუციონალურ მოწყობაზე. კლასიკურ საერთაშორისო ურთიერთობებთან (სახელმწიფოებს შორის პოლიტიკურ ურთიერთობებთან) ერთად გაანალიზებული, აგრეთვე ევროპული იდეების (ფასეულობების/ღირებულებების) გავლენა საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუციების მოწყობის ფორმებზე.

The purpose of dissertation is to analyze the influence of international factors, mainly Europe, on the institutional order of Georgia. We tried to analyze classical international relations (political relations between states) and influence of European ideas (values) on the forms of order of Georgian political institutions.

25. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში „ტრანსნაციონალური საფრთხეები და საქართველოს ეროვნული უშიშროება“ წამოყენებული ჰიპოთეზის თანახმად, გამოკვლეულია მსოფლიოში ტრანსნაციონალური საფრთხეების ზრდის პროცესები და საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემები, რამაც განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა არნახულად გლობალიზებულ ინფორმაციულ ეპოქაში, როდესაც ცივილიზაციის განვითარების უპრეცედენტო შესაძლებლობებთან ერთად, გამოიკვეთა არაპროგნოზირებადი და ტექნოლოგიურად უზომოდ გამრავალფეროვნებული ტრანსნაციონალური საფრთხეები, რომელთა წინაშეც ქვეყნების, როგორც საშინაო პოლიტიკა, ისე საერთაშორისო ურთიერთობების მთელი სისტემა ხდება უფრო და უფრო დაუცველი. ამიტომაც, რომ აშშ-ის და სხვა ქვეყნების მთავრობები მთლიანად მას და მის ცალკეულ გამოვლინებებსაც მიიჩნევენ ეროვნული უშიშროების

ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. ამიტომაც საქართველოს სწრაფვაში იქცეს საერთაშორისო ურთიერთობების სრულფასოვან მონაწილედ, ერთ-ერთ განმსაზღვრელ აუცილებელ წინაპირობად უნდა განვიხილოთ, ტრანსნაციონალური საფრთხეების საშიშროების გათვალისწინებით ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის სრულყოფა.

According to the hypothesis presented in the present dissertation "Transnational Threats and National Security of Georgia", the processes of growth of transnational threats in the world and the problems of ensuring the national security of Georgia, that gained special urgency in the extremely global information age, when, along with the unprecedented opportunities for the development of civilization, unpredictable and technologically immensely diversified transnational threats emerge, in the face of which both the domestic policy of countries and the entire system of international relations

become increasingly vulnerable. That is why the governments of the United States and other countries as a whole consider it and its individual manifestations as one of the major challenges to national security. Therefore, in Georgia's quest to become a full participant in international relations, one of the defining prerequisites must be the improvement of the national security policy, taking into account the threat of transnational threats.

26. სადისერტაციო ნაშრომი განხილულია შემდეგი საკითხები: ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის არსი, წარმოშობა და განვითარება, ეროვნული მოძრაობა საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში 1987 წლამდე, ეროვნული მოძრაობის პოლიტიკურ ორგანიზაციებად სტრუქტურირება, მსოფლიო გეოპოლიტიკური კრიზისი XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს და ეროვნული მოძრაობის აღმავლობა.

The dissertation discusses the following issues: the essence, origin and development of the national liberation movement, the national movement during the Soviet occupation until 1987, the structuring of the national movement into political organizations, the world geopolitical crisis at the end of the 80s of the 20th century, and the rise of the national movement.

27. სადოქტორო ნაშრომში, „საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენა სახელმწიფოების პოლიტიკაზე“, განიხილავს თუ რას წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციები და რა პროცესებმა შეუწყო ხელი ამ ორგანიზაციების

განვითარებას. ყურადღება გამახვილებულია ძირითად მახასიათებლებზე, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებს განასხვავებს სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებისგან. განხილულია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთობა და თანამშრომლობის ძირითადი საფუძვლები. კონკრეტული რეალური მაგალითების საფუძველზე შესწავლილია არასამთავრობო ორგანიზაციების მიზნები და ის მიმართულებები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესის სფეროს წარმოადგენს. განხილულია „ამნესტი ინტერნეიშენალი“, რომელიც ფუნქციონირებს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, „გრინპისი“ გარემოს დაცვის მიმართულებით და „ქეა“ ჰუმანიტარული მიმართულებით. თუმცა ზემოთ მოცემული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა, ნაშრომში სხვა უამრავი საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციაა განხილული. დისერტაციაში დეტალურად არის შესწავლილი ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების მიზნები, ბიუჯეტი, პროგრამები და გავლენის მოხდენის მეთოდები, რომლებსაც ისინი იყენებენ სახელმწიფო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით. შესწავლილია ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმის ტიპები და მათი გავლენა არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე. ყურადღება გამახვილებულია დემოკრატიული და ავტორიტარული რეჟიმის ძირითად მახასიათებლებზე და ნაჩვენებია თუ როგორი ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციაა დამახასიათებელი კონკრეტული რეჟიმისთვის.

This doctoral dissertation, "The Impact of International Non-Governmental Organizations on State Policy", It discusses whether international organizations and what processes will shape the development of these organizations. The focus is on the key characteristics that distinguish NGOs from intergovernmental organizations. The relationship between non-governmental organizations and intergovernmental organizations and the basic principles of cooperation are discussed. Based on concrete real examples, the goals of non-governmental organizations and the areas that are of interest to non-governmental organizations are studied. Amnesty International, which operates in the field of human rights, Greenpeace in the field of environmental protection and CARE in the field of humanitarian issues are discussed. However, in addition to the above-mentioned international non governmental organizations, the paper discusses numerous other international or local non-governmental organizations. The dissertation examines in detail the goals, budgets, programs, and methods of influence of the organizations listed above that they use to influence public policy. The types of political regime in the country are studied and their impact on the development and formation of NGOs. The focus is on the key features of democratic and authoritarian regimes and shows what type of NGO is typical for a particular regime.

28. თანამედროვე მსოფლიოში ევროკავშირი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ აქტორს, რაც თავის მხრივ ევროინტეგრაციის პროცესის გაღრმავებამ და ზრდამ გამოიწვია. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, მისი განხორციელების გზები და ის პრინციპები საქართველოსთან მიმართებაში, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა წამოწყებული რეფორმების წარმატება და წინსვლა ევროინტეგრაციის გზაზე. დეტალურადაა მოცემული საქართველოში არსებული დემოკრატიული ინსტიტუტების რეფორმაციის, განვითარებისა და გამართული ფუნქციონირების ეტაპები, სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის მნიშვნელობა პოლიტიკური ნაბიჯების დაგეგმვასა და საბოლოო ჩამოყალიბებაში.

In the modern world, the European Union is one of the most important political actors and it is caused by the deepening and growth of the European integration process. The dissertation discusses the regional policy of the European Union, the ways of its implementation, and the principles towards Georgia, which finally determined the success of the initiated reforms and the progress on the path of European integration. The paper details the stages of reform, development, and functioning of the existing democratic institutions in Georgia, the importance of civil society and the non-governmental sector in planning and finalizing political steps.

29. ყოფილ საბჭოთა სივრცეში და ზოგადად მთელ მსოფლიოში სეპარატისტული სუბიექტების დაურეგულირებელი სტატუსი ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება საერთაშორისო ურთიერთობებისთვის, რაც თავის მხრივ განაპირობებს ცხადი და არაორაზროვანი სტანდარტის დამკვიდრების საჭიროებას. მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ, როგორ იყენებენ პოლიტიკოსები და სეპარატისტული მოძრაობები მოვლენების ინტერპრეტაციის მეთოდს დამოუკიდებლობის მობილიზების მიზნით. ნაშრომი, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით, პასუხს სცემს შემდეგ კითხვას: აფხაზეთის პოლიტიკური დისკურსისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, გააჩნია თუ არა მას თვითგამორკვევისა და სეცესიის განხორციელებაზე ლეგიტიმური პრეტენზიის გაცხადების უფლება.

The unregulated status of separatist entities in the former Soviet Union and around the world in general remains one of the main challenges for international relations, which in turn necessitates the establishment of a clear and unambiguous standard. It is important to determine how politicians and separatist movements use the method of interpreting events to mobilize for independence. Based on the example of the countries of the former Yugoslavia, the paper answers the following question: Considering the political discourse and characteristics of Abkhazia, does it have the right to make a legitimate claim for self-determination and secession?

30. წინამდებარე სადოქტორო ნაშრომში – „კვიპროსის კონფლიქტი და მისი გადაწყვეტის პერსპექტივები“ – გაანალიზებულია კვიპროსის კონფლიქტი, მისი წარმოშობის მიზეზები, განვითარების ეტაპები და მის მოგვარების მცდელობასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების პროცესის მთელი დინამიკა.

The presented doctoral dissertation - "The Cyprus conflict and the prospects for its resolution" - analyzes the Cyprus conflict, its origins, stages of the development and the whole dynamics of the negotiation process related to the attempts of resolving it.

31. ნაშრომი ეძღვნება იმ ანალიზს, თუ როგორ ნელა და რთულად იქცევიან პოსტსაბჭოთა ქვეყნები-საქართველო და უკრაინა ევროპული ტიპის დემოკრატიებად, რაც განპირობებულია როგორც საშინაო, ისე საგარეო ფაქტორებით. ასევე ნაჩვენებია, როგორია მათი პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი და რა ტიპის გავლენა აქვს მათზე რუსეთს. მსგავსება, რაც ამ შემთხვევებში გვხვდება, არის სსრკ იდეოლოგიის - მარქსიზმ-ლენინიზმის 70 წლიანი გავლენა. სსრკ-ს დაშლის შემდეგ მასში შემავალმა 15-მა რესპუბლიკამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მათ შორის უკრაინამ და საქართველომ. მიუხედავად ამისა, ამ სახელმწიფოებს არ გააჩნდათ მმართველობის საკუთარი გამოცდილება და არსებობდნენ როგორც ინდივიდუალური, სუვერენული სახელმწიფოები. 1991 წლიდან ეს სახელმწიფოები ებრძოდნენ პოსტსაბჭოთა ისეთ გავლენებს, როგორიცაა ძველი პრაქტიკის და ოლიგარქიის მმართველობა, უსამართლო არჩევნები, კანონის უზენაესობის, დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა და კორუფცია.

This work is dedicated to find out how post-Soviet union states, such as Georgia and Ukraine is becoming European - style democracies. Also it will be shown how state-building process is going time by time and what type of influence is Russia having. The similarity which can be found in these cases is 70 years of influence of the USSR ideology- Marxism-Leninism. After a collapse of the USSR, 15 republics obtained independence including Ukraine and Georgia. Nonetheless, this states had no foundation of governing and existing as an individual, sovereign state. Since 1991, these states were struggling with the post-Soviet union influences, such as oligarchy ruling, unfair elections, an absence of rule of law and corruption.

32. ნაშრომში გადმოცემულია დემოკრატიული ინსტიტუტების და რეჟიმების ტრანსფორმაციის მიზეზების თეორიული გააზრების მცდელობა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, მათ შორის თანამედროვე პირობებშიც. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებისა და ევოლუციის პროცესის ანალიზი ემსახურება როგორც ისტორიული მიმოხილვის ამოცანას, სადაც გამოვლენია დემოკრატიის განვითარების ძირითადი სტადიები, ისე დემოკრატიული ინსტიტუტების გენეზისისა და ევოლუციის თეორიული ანალიზის ამოცანას.

In the work is given the theoretical understanding of the transformation causes of democratic institutions and regimes in different historical epochs, including modern conditions. In different historical periods, the analysis of the formation and evolution processes of democratic institutions serves as a historical review of the main stages of democracy, as well as the theoretical analysis of the genesis and evolution of democratic institutions.

33. სადისერტაციო ნაშრომში „ევროკავშირის როლი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კონფლიქტების დარეგულირებაში (მოლდოვას, საქართველოს და უკრაინის მაგალითზე)“ განხილულია ევროკავშირის, როგორც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი წამყვანი აქტორის მიდგომები და განხორციელებული ქმედებები ახლო სამეზობლოს კონფლიქტების გადაჭრის კუთხით. ნაშრომში განხილული და შეფასებულია ევროკავშირის, როგორც გლობალური მედიატორის ისტორიული გამოცდილება და მის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სამშვიდობო აქტივობები. ევროკავშირის ჩართულობა სამეზობლოს კონფლიქტების დარეგულირებაში განხილულია სამი სახელმწიფოს კონფლიქტის მაგალითზე: მოლდოვის, საქართველოს და უკრაინის.

PhD thesis, entitled "The EU's Role in Conflict Resolution of the Eastern Partnership Countries (The Examples of Moldova, Georgia and Ukraine)", discusses the approaches and actions taken by the EU as one of the leading actors in modern international relations to resolve conflicts in its Neighborhood. The paper discusses and evaluates the historical experience of the European Union as a global mediator and the various peacekeeping activities. The involvement of the European Union in the settlement of neighborhood conflicts is discussed in the paper on the example of the conflict of three countries: Moldova, Georgia and Ukraine.

34. ნაშრომში განხილულია: სახელმწიფო გადატრიალების თეორიულ-მეთოდოლოგიური და ისტორიული საფუძვლები, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების წინაპირობები საქართველოში, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა და საერთაშორისო-პოლიტიკური კონტექსტი.

PhD thesis discusses: the theoretical, methodological and historical foundations of the coup d'état, the preconditions of the coup d'état of December-January 1991-1992 in Georgia, the overthrow of the government of Zviad Gamsakhurdia and the international political context.

35. ნაშრომში განხილულია: თანამედროვე დიპლომატიის ინტეგრაციული განზომილება, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განხორციელების თავისებურებები, ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების დიპლომატიური საქმიანობა: პრაქტიკული ასპექტები, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა აღმოსავლეთპარტნიორობის ქვეყნებთან საქართველოს მაგალითზე.

PhD thesis discusses: the integrative dimension of modern diplomacy, the peculiarities of the implementation of the EU's foreign policy, the diplomatic activity of the EU and its member states: practical aspects, the EU's foreign policy with the Eastern Partnership countries on the example of Georgia.

36. ნაშრომი განიხილავს შეერთებული შტატების ახლო აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. პირველ თავში სრულყოფილად შევისწავლეთ ირანის თანამედროვე გეოპოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, მისი სტრატეგიული მიზნებისა და სახელმწიფო იდეოლოგიის ჩათვლით. მეორე თავში შესწავლილი და გაანალიზებული ირანის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორები. მესამე თავში გამოკვეთილია აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორები. ნაშრომში გაანალიზებულია ირანისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამომავლო თანამშრომლობის სირთულეები. ვიმსჯელებთ პერსპექტივებზე, რომლებსაც შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის მიღწევაში. დისერტაციის დასასრულს წარმოვადგინეთ კვლევის ზოგადი შედეგები და რეკომენდაციები.

Thesis discusses some priorities of US Middle East foreign policy in the Middle East region.

In the first chapter, we have comprehensively studied the modern geopolitics of Iran in the Middle East region, including its strategic goals and state ideology. In the second chapter, we have explored as well as analyzed the key vectors of Iran's foreign policy. In the third chapter, we have outlined the main vectors of US foreign policy. We tried to highlight the difficulties of future cooperation between Iran and the United States. We have outlined the prospects that can play a key role in achieving stability in the Middle East. In the conclusion of the thesis, we have presented the general results of the research and recommendations.

37. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირის ენერგეტიკული თანამშრომლობის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფაქტორების სისტემურ შესწავლასა და ანალიზზე, იმ გამოწვევებზე, რაც მათ ურთიერთობებს ახლავს თან. აღნიშნული ფაქტორების კვლევა კიდევ უფრო აქტუალური ხდება ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემის გამო, რომელიც მკვეთრად დამოკიდებულია რუსულ ენერგორესურსებზე. ნაშრომში განხილულია უკრაინის კრიზისის და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგები. უკრაინის მოვლენების გარშემო ერთმანეთს ეჯახება ისეთი მსხვილი პოლიტიკური აქტორების ინტერესები როგორც არის აშშ, რუსეთი და ევროკავშირი, რამაც თავის მხრივ კონფლიქტი გაზარდა როგორც რეგიონალურ და ასევე გლობალურ დონეზე. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რუსეთსა და ევროკავშირს შორის ენერგეტიკულ თანამშრომლობაში ენერგეტიკული უსაფრთხოების პერსპექტივების ანალიზს.

PhD thesis focuses on the systematic study and analysis of the geopolitical and socioeconomic factors of EU energy cooperation, and the challenges that accompany their relations. The study of the mentioned factors becomes even more relevant due to the problem of energy security of the European Union, which strongly depends on Russian energy resources. PhD thesis discusses the consequences of the Ukraine crisis and the Russia-Ukraine war. The interests of such major political actors as the USA, Russia, and the European Union are clashing around the actions in Ukraine, which in turn has increased the conflict both at the regional and global levels. The thesis pays special attention to the analysis of energy security perspectives in energy cooperation between Russia and the European Union.

38. სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება კავკასიის რეგიონის რეგიონული უსაფრთხოების პირობების არსს და მის სისტემაში საქართველოს როლისა და ადგილის განსაზღვრას. საინტერესო ფორმითაა ასახული რეგიონის გეოპოლიტიკური იდენტობა და მისი როლი,

ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში. განხილულია სამხედრო - პოლიტიკური კონფლიქტების კლასიფიკაციასა და მათ ტრანსფორმაციას, ახალი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის პირობებში (რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მაგალითზე). ნაშრომში გაანალიზებულია რეგიონში მიმდინარე ინტერგაციული მოვლენების სრული სპექტრი და გამოკვეთილია სეპარატიზმის არსი, როგორც სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტების ბუნება და წარმოშობის მიზეზები, თუ რა გავლენას ახდენენ ისინი ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო უსაფრთხოებაზე.

The dissertation is dedicated to the essence of the regional security conditions in the Caucasus region and the definition of Georgia's role and place in its system. Interestingly reflected region geopolitical identity and its role in international politics. The classification of military-political conflicts and their transformation under the new international security system (on the example of the Russia-Georgia conflict) are discussed. The research paper analyzes the full range of current integration events in the region and highlights the essence of separatism as the nature and origins of military-political conflicts and their impact on national, regional and international security.

39. ნატოს გაფართოების საკითხი წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. თანამედროვე პერიოდში ალიანსში ახალი სახელმწიფოების გაწევრიანება, უმთავრესად, განიხილება, როგორც რუსეთის შეკავების სტრატეგია. აღნიშნული ფენომენის შესწავლისათვის აუცილებელია გაანალიზებულ იქნეს 1990-იანი წლების აშშ-ევროპის ქვეყნების დებატები ალიანსის გაფართოების შესახებ, 2000-იან წლებში ალიანსის ინტერესები პოსტ-საბჭოთა სივრცეში და უახლესი, მიმდინარე მოვლენა - უკრაინა, მოლდოვეთი, საქართველოს კანდიდატობის საკითხი. წინამდებარე ნაშრომში მეცნიერულად შესწავლილი და გაანალიზებულია ზემოაღნიშნული პრობლემატიკა, გაკეთებულია დასკვნები და შეთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

NATO expansion has the right to guarantee the safety and security of Europe. In the modern period, the joining of new states to the alliance is mainly considered as a strategy to contain Russia. For the study of the mentioned phenomenon, the US-European debates of the 1990s about the expansion of the alliance, the interests of the alliance in the post-Soviet space in the 2000s and the most recent, current event - the decision of the candidates of Ukraine, Moldova, Georgia. In this work, the above-mentioned problems are scientifically studied and analyzed, conclusions are drawn and specific projects are discussed.

40. სადისერტაციო ნაშრომი - „ბრექსიტი - საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხი“, ეძღვნება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მიერ ევროკავშირის დატოვების პროცესს და მის განმაპირობებელ ფაქტორებს. ბრექსიტის პრობლემის თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის მოცემული ნაშრომი განიხილავს დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ურთიერთობებს, ბრექსიტის რეფერენდუმის გამომწვევ მიზეზებსა და ევროკავშირიდან გასვლის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განსაზღვრებებს. ეს ყოველივე ერთიან კონცეფციაში განსაზღვრავს პრობლემის არსს, რამაც შესაძლებლობა მისცა დიდ ბრიტანეთს დაეტოვებინა ევროკავშირი.

The dissertation paper "Brexit - A Topical Issue In International Politics" examines the process whereby the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland withdrew from the European Union and the factors that played a part in it. The dissertation paperwork examines the relationship between the UK and the EU, also the reasons that made referendum on Brexit possible as well as the political and economic implications of leaving the European Union. It defines the essence of the problem in a concept, which allows the UK to leave the European Union.

41. სადისერტაციო ნაშრომი ეხება მეტად აქტუალურ პრობლემებს, რომელსაც დღესდღეობით საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა განსაკუთრებით მწვავედ განიცდის. არახალია ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის პროცესი მასში ჩართულ მონაწილეებს ახალ ურთიერთობებს, კავშირებს და გამოწვევებს სთავაზობს. ახალ ეპოქას მოიხსენიებენ ე.წ. „ციფრულ სამყაროდაც“, სადაც ინფორმაციის გავრცელება განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს, ტექნოლოგიური პროცესების მზარდი დონე კი სულ უფრო ითხოვს უსაფრთხოების სისტემის სრულყოფის გზების ძიებას. აღნიშნულ საკითხებს განსაკუთრებით მწვავედ განვითარებადი ქვეყნები განიცდიან. მათ უწევთ ისე დაგეგმონ და გადააწყონ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა, რომ თავიანთი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის ფონზე, საერთაშორისო ურთიერთობების სრულფასოვან წევრებად მოიაზრებოდნენ. ნაშრომის პირველ თავში განხილულია ეროვნული უსაფრთხოების მეთოდოლოგიური ჩარჩო და უცხოური გამოდილების მაგალითებია მოყვანილი, მეორე თავში მიმოხილულია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, ხაზია გასმული კავკასიის რეგიონის მნიშვნელობაზე, ბოლო, მესამე თავში დასმულია ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები და ჩამოყალიბებულია ის ძირითადი მიმართულებები, რაც ავტორის აზრით სფეროს სრულყოფისთვის საჭირო ნაბიჯებს წარმოადგენს.

The dissertation, entitled: "Foreign challenges of national security of Georgia" addresses the most pressing problems, which today the policy of national security of Georgia is particularly acute. Not new is the fact that the globalization process offers new relationships, connections and challenges to the participants involved. The new era is referred to as the so-called Even in the "digital world", where information dissemination is particularly fast, and the growing level of technological processes is increasingly demanding the search for ways to improve the security system. These issues are particularly acute in developing countries. They have to plan and rearrange their foreign or domestic policies in such a way that they are considered full members of international relations in the light of the protection of their national interests. In the first chapter of the work, is is discusses the methodological frame, work of national security and are given examples of foreign exposure. In the second chapter it is ceviewed the geopolitical location of Georgia, is emphasized the importance of the Caucasus region. At last, in the third chapter are posed the main problems of national security and there are established the main directions, which according to the authors opinion are necessary steps for the improvement of the field.

42. ნაშრომში განხილულია ჰიბრიდული ომის არსი და მისი გამოვლინების ფორმები. გაანალიზებული და შედარებულია „ჰიბრიდული ომის“ განვითარების ისტორიული ეტაპები. განხილულია რუსეთ-უკრაინის 2014 წლის რუსეთ-უკრაინის ჰიბრიდული ომის ევოლუცია ისტორიულ რეტროსპექტივაში, ჰიბრიდული ომის სხვადასხვა მეთოდებთან ერთად, მათ შორის კიბერ-სფეროს გამოყენების მასშტაბი. მოყვანილია რუსეთის ახალი თაობის ომის წარმოების 8 ფაზიანი მოდელი. გაანალიზებულია ევროკავშირის წევრ და არაბულ ქვეყნებში არსებული ჰიბრიდული გამოწვევები, მათ შორის ისრაელი და ჰესბოლას, არაბული გაზაფხულისა და ნიდერლანდების მაგალითზე. განხილულია ჰიბრიდული ომის მწარმოებელი აქტორისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ამასთან დადგენილია რბილი ძალის როლი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში (ვაშინგტონის პოლიტიკის უმთავრესი კომპონენტია მასობრივი კულტურა). განხილულია 2016 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჰიბრიდული ძალის გამოყენება და დადასტურებულია შესაბამისი უწყებების მიერ ჩატარებული ექსპერტიზით. მოხსენიებულია კოვიდ-19 პანდემიის დროს ჩინეთის მიერ გამოყენებული რბილი ძალა (საკომუნიკაციო კამპანია), როგორც სტრატეგიული კომუნიკაციის ნაწილი. ამ უკანასკნელის მთავრობის სასიცოცხლო ამოცანაა, რომ გაზარდოს მისი კულტურული და იდეოლოგიური გავლენა და, შესაბამისად გაზარდოს მისი რბილი ძალა. ნაშრომში განხილულია ევროკავშირისა და ნატოს ჩართულობა ჰიბრიდული გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლაში და საქართველოსთან დაკავშირებული გამოწვევები.

The work discusses the essence of hybrid war and its manifestations. The historical stages of the development of "hybrid war" are analyzed and compared. The evolution of Russia-Ukraine's 2014 Russia-Ukraine hybrid war is discussed in historical retrospect, along with the various methods of

hybrid warfare, including the extent of the use of the cyber-sphere. An 8-phase model of Russia's new generation war production is presented. The paper also analyzes the hybrid challenges in the EU and Arab countries, including Israel and Hezbollah, using the examples of the Arab Spring and the Netherlands. The characteristic features of a hybrid warfare actor are discussed. In addition, the role of soft power in the foreign policy of the United States of America is established (mass culture is the main component of Washington's policy). The use of Russia's hybrid force in the 2016 US presidential elections is discussed and confirmed by the expertise conducted by the relevant agencies. The soft power (communication campaign) used by China during the Covid-19 pandemic is mentioned as part of strategic communication. The vital task of the latter government is to increase its cultural and ideological influence and thus increase its soft power. The paper discusses the involvement of the European Union and NATO in the fight against hybrid challenges and challenges related to Georgia.

43. სადისერტაციო ნაშრომი „ჩინეთის რბილი ძალის გავლენა ცენტრალური აზიის ქვეყნებზე“, საწყის ეტაპზე განიხილავს ჯოზეფ ნაის თეორიას რბილი ძალის შესახებ და მასზე დარყდნობით ჩინეთის მხრიდან მის გამოყენებას ცენტრალური აზიის ქვეყნებზე. შედეგების განსჯა სამ თავს მოიცავს. პირველი თავი - ჩინეთის საგარეო კურსი ცენტრალურ აზიაში და მისი ძირითადი მახასიათებლების თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩო - სამი ქვეთავისგან შედგება. მეორე თავი - სარტყელისა და გზის ინიციატივა, როგორც ჩინეთის გლობალური გავლენების გავრცელების პროექტი - სამი ქვეთავისგან შედგება. ასევე, განვიხილავ სარტყელისა და გზის პროექტს, რომელსაც საფუძველი 2013 წელს ჰუ ჯინტაომ ჩაუყარა და 70-მდე ქვეყნას მოიცავს. ინიციატივა ითვალისწინებს 100-ზე მეტ ინფრასტრუქტურულ პროექტს. 2017 წლიდან, მსოფლიოში გაიზარდა ქვეყნების ინტერესი BRI-ის მიმართ. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ BRI-ის მონაწილე ქვეყნების უმეტესობა განვითარებადი ქვეყნებია. ბუნებრივია, მსგავსი პროექტები მნიშვნელოვანია ღარიბი და განვითარებადი ქვეყნებისთვის. მესამე თავში განხილულია - რუსეთისა და თურქეთის ინტერესთა გადაკვეთა ცენტრალურ აზიაში და ახალი მსოფლიო გეოპოლიტიკა - სამი ქვეთავისგან შედგება. ასევე განხილულია ცენტრალური აზიის ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთთან. აღსანიშნავია რომ ცენტრალურ აზიაში ჩინეთის გააქტიურების მიუხედავად, რუსეთი მაინც ინარჩუნებს პოზიციებს ეკონომიკაში. თავდაპირველად რუსეთი უფრო მეტად იყო უსაფრთხოების გარანტი რეგიონში, თუმცა ბოლო პერიოდში ეს შეხედულება

გადასახედი გახდა. რუსეთი და ჩინეთი არ აღიარებენ მათ შორის დაპირისპირებას და ყოველთვის მშვიდ კონკურენციაზე საუბრობენ. ნაშრომი მოიცავს დასკვას, შეჯამებას და გამოყენებულ ლიტერატურას.

Scientific Research – “The Impact of China’s Soft Power on Central Asian Countries”, first discusses Joseph Nye’s theory of soft power and based on this theory, how China applies its soft power on Central Asian countries. The judgment of the results includes three chapters. The first chapter – China’s foreign course in Central Asia and the theoretical-methodological framework of its main features - consists of three sub-chapters. In the second subsection, I will discuss the main principles of China’s foreign policy. As a result of economic growth, China has been given the opportunity to conduct a foreign policy based on its principles. China’s foreign policy is governed by the 1954 Five Principles of Peaceful Coexistence. Also, I will discuss the Belt and Road project, which was launched by Hu Jintao in 2013 and covers about 70 countries. The initiative envisages more than 100 infrastructure projects. Since 2017, countries around the world have increased their interest in BRI. It is also worth noting the fact that most of the BRI participating countries are developing countries. Naturally, such projects are important for poor and developing countries. The 1954 Five Principles of Peaceful Coexistence. The third chapter - the intersection of the interests of Russia and Turkey in Central Asia and the new world geopolitics - consists of three subchapters. Also, I discuss the political-economic attitude of the Central Asian countries towards Russia is discussed. It should be noted that despite China’s activation in Central Asia, Russia still maintains its position in the economy. Initially, Russia was more of a guarantor of security in the region, but recently this view has been revised. Russia and China do not recognize the conflict between them and always talk about peaceful competition. The paper includes a conclusion, a summary and an used literature.

44. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ეხება დღევანდელ საერთაშორისო თანამეგობრობაში უმთავრეს პრობლემას, სეპარატიზმს, მისი თავიდან არიდების გზებს. სადისერტაციო თემაში განხილული სხვადასხვა ქვეყნის მაგალითების და პრეცედენტების გაანალიზების შემდეგ დავადგინეთ, რომ მხარეთა შორის ურთიერთობების დათბობითა და მოლაპარაკებებით, რომელიც ორივე ხელშემკვრელი მხარის ინტერესს მოიცავს და დააკმაყოფილებს, შესაძლებელი გახდება კონფლიქტების ეფექტიანი და სამომავლოდ მშვიდობიანი გზით დასრულება. დასკვნის სახით კი შესაძლოა ითქვას, რომ ევროკავშირს, როგორც ძლიერ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებას აქვს შესაბამისი მექანიზმი, რომ ჩაერიოს მის მეზობელ სახელმწიფოში არსებულ შიდა კონფლიქტებში, როგორც მედიატორი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქვეყნის შიგნით არსებულ კონფლიქტში. მაგრამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის თითქმის არ არსებოს სწორად ჩამოყალიბებული იერარქიულად თანმიმდევრობით დალაგებული მიდგომები, რაც გამოიხატება იმაში, რომ არ არის

მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ნება, რომ ევროკავშირმა ეფექტური ქმედითი ნაბიჯები გადადგას კონფლიქტის მოგვარების კუთხით.

The presented dissertation paper is addressed to one of the important problems in modern international relations, separatism, the ways of avoiding it. After analyzing the examples and precedents of different countries discussed in the dissertation topic, we found that by warming up relations between the parties and negotiations that include and satisfy the interests of both contracting parties, it will be possible to end the conflicts effectively and peacefully in the future. In conclusion, EU's mechanism to intervene in internal conflicts in its neighbouring state as a mediator. But there are almost no properly formulated hierarchically sequential approaches between EU member states. The British politician, the EU's highest envoy for foreign policy and the president of the European Commission, Catherine Ashton, noted in one of her speeches that behind everything we do stands for our truth, to protect our interests and to spread our values, we must go beyond borders, and if we are together, we will be able to protect our interests, but if we don't do so, it will be easy to make decisions instead of us.

45. სადისერტაციო ნაშრომში „კულტურა, როგორც „რბილი ძალის“ ელემენტი საერთაშორისო ურთიერთობებში“ კულტურა განხილულია, როგორც „რბილი ძალის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტი. მას საკმაოდ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია კონკრეტული საზოგადოებისა და ინდივიდის ქცევებსა და აზროვნებაზე. მსოფლიოში „რბილი ძალის“ გააქტიურებასთან ერთად კულტურა გადაიქცა საზოგადოებაზე პოზიტიური გავლენის მოხდენის და მიმზიდველობის შექმნის გარანტად. ნაშრომის საკვანძო ნაწილს წარმოადგენს ეროვნული იდენტობისა და კულტურის ურთიერთკავშირი. იდენტობის საკითხები და ეროვნულ უმცირესობათა კონფლიქტის თემები დაკავშირებულია განსხვავებულ კულტურულ ღირებულებებთან და აღქმებთან. შესაბამისად კვლევის მნიშვნელობა ეროვნულ უმცირესობათა კონფლიქტების მოგვარების აუცილებლობიდან გამომდინარეობს.

PhD thesis, entitled "Culture, as an Element of "Soft Power" in International Relations" discusses culture as one of the important components of "soft power". Culture can have quite a big impact on the behaviors and thinking of a particular society and individual. With the activation of "soft power" in the world, culture has become a guarantor of influence and attractiveness. A key part of the thesis is the interrelationship of national identity and culture. Identity issues and conflicts of national minorities are caused by different cultural values and perceptions. Consequently, the importance of research stems from the need to resolve national minority conflicts.

46. სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია დასავლური პოლიტიკური კულტურის გენდერული მახასიათებლები და ქართული პოლიტიკური კულტურა ქალთა მიმართ დამოკიდებულების თავისებურებების კონტექსტში. გენდერული პრობლემატიკის წარმოჩენა დემოკრატიზაციის გზაზე დამდგარი სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავისა და 12 ქვეთავის, ცხრილების, დიაგრამების, კვლევის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან.

The dissertation is dedicated to the study of the gender characteristics of Western political culture in the light of its Georgian political culture. Identifying the characteristics of gender issues is vital for the state on the path to communion of democratic values. The paper consists of an introduction, 3 chapters and 12 subsections, the paper is accompanied by research data, tables, diagrams, conclusion and a list of References.

47. ნაშრომში განხილული და შეფასებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის განვლილი გზა, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში მიღწეული შედეგები და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების სამომავლო მოლოდინები. ნაშრომი შედგება რეზიუმეს, შინაარსის, შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავის, ათი ქვეთავის, დასკვნის, რეკომენდაციებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

The paper discusses and evaluates the path of relations between Georgia and the European Union, the results achieved in economic and political terms, and the future expectations of Georgia's accession to the European Union. The paper consists of summary, table of contents, introduction, literature review, three chapters, ten sub-chapters, conclusion, recommendations and references.

48. სადისერტაციო ნაშრომი ეხება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს - სეპარატიზმის პრობლემას, ესპანეთსა და იტალიაში. რაც ბევრ რეგიონში უსაფრთხოების ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა, ამიტომ ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობა აქტუალურია. სეპარატიზმი იმ საკითხთა შორისაა, რომელიც მსოფლიო თუ რეგიონალურ პოლიტიკას განსაზღვრავს, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში სეპარატიზმი გლობალური უსაფრთხოების მთავარ

გამოწვევად იქცა, რა თქმა უნდა ტერორიზმთან ერთად. სადისერტაციო კვლევის პრობლემატიკა, ასევე ითვალისწინებს ზოგადად სეპარატიზმის ცნების და მასთან ურთიერთკავშირში მყოფი ცნებების (ირიდენტიზმი, ნაციონალიზმი, სეცესია) და კონცეფციების ანალიზს, საკითხის სამეცნიერო დამუშავებას, ესპანეთის (ბასკები, კატალონია) და იტალიის (ჩრ.რეგიონები) სეპარატისტული კონფლიქტების პრევენციისა და გადაჭრის გზების ძიებას. ამავე დროს ვთავაზობთ თეორიულ და პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

The dissertation deals with one of the most important issues in the modern world – the problem of separatism in Spain and Italy. Which has become a security impediment in many regions, so the debate around this issue is topical. Separatism is one of the issues that determines world or regional politics, and it should also be noted that in the modern world, separatism has become a major challenge to global security, certainly along with terrorism. The problems of the dissertation research also include the analysis of the notion of separatism and its related concepts (irredentism, nationalism, secession) in general, the scientific elaboration of the issue, the search for the separatists of Spain (Basque, Catalonia) and Italy (northern regions). At the same time, theoretical and practical recommendations are offered.

49. ნაშრომში განხილულია ორი კონფლიქტის - კვიპროსის და აფხაზეთის კონფლიქტების - წარმოშობის მიზეზები, მათი თავისებურებები და არსებული შედეგები. ძირითადი აქცენტები დასმულია კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის ეტაპზე. მშვიდობის მშენებლობის პროცესში მხარეთა შორის ნდობის აღდგენის და თემთა შორის ურთიერთობის დათბობის თვალსაზრისით, კვიპროსის კონფლიქტი ერთ-ერთ საინტერესო პრეცედენტს წარმოადგენს. აღნიშნულმა კონფლიქტმა ახალი მიდგომები დანერგა, მსგავს, გაყინული კონფლიქტებში, სადაც მხარეთა შორის ურთიერთობაში კონსესუსის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯები შესაძლებელს ხდის კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციას და დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნდობის და მშვიდობის მშენებლობის პროცესს.

The presented research discusses the origins of two conflicts - the Cyprus and Abkhazian conflicts - their peculiarities and the existing consequences. The main emphasis is on the stage of positive transformation of the conflict. The Cyprus conflict is one of the most interesting precedents in terms of restoring trust between the parties in the peacebuilding process and warming relations between the communities. This conflict has introduced new approaches, similar to the frozen conflicts, where the steps taken to reach a consensus in the relationship between the parties make possible the positive transformation of the conflict and the process of building trust and peace between the opposing parties.

50. წარმოდგენილ ნაშრომში გადმოცემულია რუსეთსა და თურქეთის კავკასიური პოლიტიკა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გავლენას ახდენდა საქართველოზე. სხვადასხვა ისტორიულ, მათ შორის თანამედროვე პერიოდში, მიმდინარე პროცესების ანალიზი ემსახურება თეორიული გააზრების მცდელობას, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს რუსეთთან და თურქეთთან. მოცემულ კვლევაში განხორციელებული ისტორიული ფორმების დეტალური, თეორიული და შედარებითი ანალიზი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს აღნიშნული ქვეყნების დამოკიდებულებას, მათ ინტერესებს კავკასიის მიმართ და ასევე მათ გავლენას საქართველოზე.

The presented paper presents the Caucasian policy of Russia and Turkey, which has influenced Georgia for centuries. The analysis of current processes in various historical, including modern periods serves to attempt a theoretical understanding of Georgia's relations with Russia and Turkey. The detailed, theoretical and comparative analysis of the historical forms carried out in this study clearly shows the attitude of the mentioned countries, their interests towards the Caucasus and also their influence on Georgia.

51. დისერტაციის მიზანს წარმოადგენს, ავსახოთ სირიის კონფლიქტის დაწყების მიზეზები, მიმდინარე მოვლენები, მხარეებს შორის დაპირისპირება და ის აქტუალური საკითხები, რომლებმაც მოიწვა მთელი მსოფლიო. კვლევის შედეგად გავანალიზებთ თუ როგორი თანაფარდობა გამოიკვეთა კონფლიქტში გლობალურ და რეგიონალურ მოთამაშეებს შორის და სად არის "ძალთა ბალანსი". ამ მხრივ პრობლემის წარმოჩენა ხელს უწყობს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკის გააზრებას, კორექტივების შეტანასა და კრიზისული სიტუაციების მართვას. უფრო მეტიც, რუსეთ-ამერიკას შორის ბალანსის პოვნა და რეგიონის ქვეყნების ჩართულობის განსაზღვრა მიგვახლოვებს არა მხოლოდ სირიის კრიზისის, არამედ რეგიონალური პრობლემების მოგვარებასთან.

The aim of the presented dissertation is to reflect on the reasons for the start of the Syrian conflict, current events, the confrontation between the parties and the current issues that have covered the whole world. As a result of the research, we analyzed the relationship between global and regional players in the conflict and where the "balance of power" is. In this regard, presenting the

problem helps to understand the dynamics of modern international relations, to make corrections and to manage crisis situations. Moreover, finding a balance between Russia and America and determining the involvement of the countries of the region will bring us closer to solving not only the Syrian crisis, but also regional problems.

52. სადისერტაციო ნაშრომში „საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა და საერთაშორისო გამოწვევები“, რომელიც ეყრდნობა ისტორიულ, პოლიტიკურ და სამართლებრივ წყაროებს, განხილული, გაანალიზებული და შესწავლილია საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა და საერთაშორისო გლობალური გამოწვევები, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა კაცობრიობა ციფრული ტექნოლოგიების რევოლუციის შემდეგ. პირველ თავში - კიბერსივრცის საერთაშორისო გამოწვევები და საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური და ისტორიული ჩარჩო - მოცემულია კიბერსივრცის, როგორც ახალი ფენომენის, კონცეპტუალური ანალიზი, კიბერუსაფრთხოების გლობალური კიბერგამოწვევების წარმოშობის წყაროები, რომელთა წინაშეც დგას დღევანდელი მსოფლიო ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში. მეორე თავში - კიბერსივრცე, თანამედროვე ომის წარმოების მეთოდები, მსოფლიოში არსებული გამოწვევები და საქართველო - განხილულია კიბერომის არსი, წარმოშობის წყაროები, ჰიბრიდული ომის კონცეფცია, რუსეთის ჰიბრიდული ომის ტაქტიკა, რომელიც კრემლმა აწარმოა 2008 წელს და დღემდე აგრძელებს თავდასხმებს საქართველოს საინფორმაციო კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე. მესამე თავში - საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და პოლიტიკა - განხილულია ევროკავშირის, ამერიკის, ესტონეთის, ლიეტუვას კიბერუსაფრთხოების სტრატეგიები. დეტალურადაა მოცემული ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ამ ქვეყნების სტრატეგიული მიდგომა და ქმედითი ზომები, რომლებსაც ისინი ახორციელებენ მზარდი კიბერშეტევების წინააღმდეგ საბრძოლველად. დისერტაციის დასკვნით ნაწილში განზოგადებულია კვლევის შედეგები და შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები გლობალური კიბერუსაფრთხოების გაძლიერების კუთხით, ასევე - საქართველოს ეფექტური კიბერპოლიტიკის გატარების შესახებ. ნაშრომში დანართის სახით წარმოდგენილია ავტორის მიერ შემუშავებული „კოლექტიური კიბერთავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მოდელი“, როგორც კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტი მსოფლიოში; ჩატარებულია სიღრმისეული ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან ავტორის მიერ შემუშავებულ კითხვებზე, გამოკითხვის შედეგად გაკეთებულია ავტორის დასკვნა.

The dissertation work “Georgian cybersecurity policy and International challenges” which draws from historical, political, legal sources and the scientific literature is discussed, analyzed and studied against the backdrop of Georgian cybersecurity policy and the challenges

faced by the international community since the digital revolution. The dissertation is composed of an introduction, three chapters, ninth sub-topics, a literature review, a conclusion and a list of sources. The first chapter – “International Challenges of Cybersecurity, The Historical and Methodological Background of Georgian Cybersecurity Policy. “– is analyzed in the context of the origin of cybersecurity and its subsequent history, and the global cybersecurity challenges the international community is facing due to technological advancements. Chapter Two – “Cyberspace, Modern Types of Warfare, International Challenges and Georgia” – Discussed the background and origination of cyberspace, given the analysis of hybrid warfare concept as a war-winning strategy. Also discussed are Russian hybrid warfare tactics Russia used against Georgia in 2008 and still continuing malicious cyber-attacks against country’s critical infrastructure. In Chapter Three – “Cybersecurity Strategy and Policy of Georgia” – an analysis is provided of the cybersecurity strategies of the EU, USA, Estonia and Lithuania, and the measures they are taking against cyber threats in the era of digital technologies. In the final part of the work, the results of the survey are summarized and the resulting recommendations are detailed that would enhance the cybersecurity and cyber resilience of both Georgia and the world community in general. The paper develops an authorial project – The Model of a collective Cyber Defence Organization. In depth interviews with cyber and security experts related to cyberspace, cyber technologies, cyberwarfare, cyber legalism, collective Defence, cyber-attacks, cybersecurity.

53. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ბალტიის ქვეყნების პოლიტიკური და პარტიული სისტემების ფორმირების თეორიული, მეთოდოლოგიური და ისტორიული რეტროსპექტივა. ნაშრომში ვეხებით საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე ბალტიის ქვეყნებში პოლიტიკური ინსტიტუციონალიზაციისა და პარტიების განვითარების თავისებურებებს. ბალტიის ქვეყნების მაგალითების განხილვა შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ ევროპული დირექტივების როლი, აღნიშნულ სახელმწიფოებში სოციალური უთანასწორობის შემცირების მექანიზმების შემუშავებაში. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია გენდერული უთანასწორობის შეფასებისას. ნაშრომში განხილულია ესტონეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხი, თუ რა ფაქტორები ახდენენ გავლენას ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობაზე შერჩეულ ქვეყნებში. ასევე, განხილულია ბალტიის ქვეყნებში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი და ბალტიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხი.

The dissertation discusses the theoretical, methodological and historical retrospective of the formation of political and party systems in the Baltic countries (Estonia, Latvia and Lithuania). In the paper we touch on the peculiarities of political institutionalization and party development in the Baltic States from the collapse of the Soviet Union to the present day. Examining the examples of the Baltic States allows us to see the role of European directives in developing mechanisms to

reduce social inequality in these countries. Women's political participation is one of the most important indicators in assessing gender inequality. The paper discusses the issue of women's participation in politics in Estonia, Latvia and Lithuania, and what factors influence women's participation in politics in selected countries. The paper discusses the issue of financing political parties in the Baltic countries (Estonia, Latvia, Lithuania) and the issue of international cooperation between the Baltic countries.

54. ნაშრომის „გერმანიის გაერთიანება და ახალი პოლიტიკური რეალობა პოსტბიპოლარულ ევროპაში“ პირველ თავში: „ევროპაში ახალი პოლიტიკური რეალობის და გერმანიის გაერთიანების თეორიულ-მეთოდოლოგიური და ისტორიული ჩარჩო“ ყურადღება გამახვილებულია იმ მოვლენებზე რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანიის სახელმწიფოს ფორმირების პროცესში. ნაშრომის მეორე თავში: „გერმანიის გაერთიანება, როგორც ცივი ომის მნიშვნელოვანი შედეგი“ რომელიც შედეგება სამი პარაგრაფისაგან გაანალიზებულია გერმანიის გაერთიანების პროცესი. პირველადაა სამეცნიერო მიმოქცევაში ზოგიერთი ისეთი დოკუმენტური მასალა, რომელიც კრიტიკულად გვაქვს განხილული. ნაშრომის მესამე თავში: „გერმანიის გაერთიანების პოლიტიკური შედეგები“ გარკვეულია მეცნიერული თვალსაზრისით, რომ გერმანიის გაერთიანება ისტორიული აუცილებლობა იყო. უახლესი მასალებით არის მსჯელობა გერმანიის პოზიციაზე რუსეთ-უკრაინის ომში. კვლევის შედეგები ასახულია დასკვნებში.

In the first chapter of the thesis: "Theoretical-methodological and historical framework of the new political reality in Europe and the unification of Germany", attention is focused on the events that took place in the process of the formation of the German state. In the second chapter of the work: "German unification as an important result of the Cold War", which consists of three paragraphs, the process of German unification is analyzed. In the third chapter of the work: "Political Consequences of German Unification" it is certain from a scientific point of view that German unification was a historical necessity. There is also a discussion of Germany's position in the Russia-Ukraine war with the latest materials. The results of the study are presented in the conclusions.

55. სადისერტაციო ნაშრომი ეხება ტრეფიკინგის - თანამედროვე გლობალიზებული სამყაროს გამოწვევას და მასთან ბრძოლის საერთაშორისო პოლიტიკური მექანიზმების კვლევას, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნებსა და საქართველოში ამ მიმართულებით შექმნილი ვითარების ანალიზს. წინამდებარე სადისერტაციო კვლევის

პრობლემატიკა ითვალისწინებს აგრეთვე ტრეფიკინგთან დაკავშირებული ძირითადი თეორიული მიდგომების და კონცეფციების ანალიზს, პრობლემის სამეცნიერო დამუშავებას და მისი გადაჭრის გზების ძიებას, თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების შემოთავაზებას.

Dissertation related to trafficking - the challenge of the modern globalized world and other international political technologies research is an analysis of this development carried out in different countries and in Georgia. The problem of the present dissertation study provides for the study of traffic, the analysis of the theoretical approach and findings of the Bible, the processing of sense science and the search for ways to solve it, the proposal of creating a theoretical and practical design.

56. ნაშრომში „საქართველოს უსაფრთხოების შესაძლებლობები და გამოწვევები შავი ზღვის რეგიონის ახალ პოლიტიკურ განზომილებაში“ განხილულია ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმულირების, მისი ეფექტიანი განხორციელებისა და რეგულარული კონტროლისთვის შესაბამისი გარემოს შექმნის საკითხი. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, რვა ქვეთავისა და დასკვნითი ნაწილისგან. შესავალში გაცხადებულია საკვლევი თემის აქტუალობა, კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, საკვლევი კითხვები, ჰიპოთეზა, სამეცნიერო სიახლე, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში არსებულ პერსპექტივაზე, გამოთქმულია მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომლებიც გამყარებულია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებებისა და ისტორიული დებატების ანალიზით. ასევე, ნაშრომში გაანალიზებულია ისრაელის მაგალითი, რომლიც შეიძლება იქნას საუკეთესო მოდელი საქართველოს შემთხვევაში უსაფრთხოების თვალსაზრისით. რაც შეეხება ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, აღნიშნულია, რომ საქართველოს შანსი აქვს ნატოში გაწევრიანდეს მსგავსად ტერიტორიული პრობლემების მქონე სხვა ქვეყნებისა (გერმანია), უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება და სტაბილური განვითარება.

Dissertation „Security Opportunities and Challenges of Georgia in the New Political Dimension of the Black Sea Region“ the question of formulation of national security policy, its effective implementation and creation of an appropriate environment for regular control is discussed. The dissertation consists of an introduction, three chapters, eight subchapters and a conclusion. The

relevance of the research topic, research goals and objectives, research methodology, research questions, hypothesis, scientific innovation, theoretical and practical importance of the work, foreign policy priorities of Georgia are announced in the introduction. The main focus is on the current perspective in the political spectrum, opinions and recommendations are expressed, which are supported by the analysis of the experiences of different countries and historical debates. Also, the paper analyzes the example of Israel, which can be taken as the best model in the case of Georgia from the point of view of security. As for the Euro-Atlantic integration, it is noted that Georgia has a chance to join NATO, like other countries with territorial problems (Germany), to ensure the country's security and stable development.

57. დისერტაციაში გაანალიზებულია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური იდეოლოგიები და ევროკავშირის ზენაციონალურიპოლიტიკური დღის წესრიგი - გამოკვლეული გვაქვს ის უმთავრესი პოლიტიკური პროცესები, რომლებმაც ჩამოაყალიბა ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის სისტემა. აგრეთვე დიდ ყურადღებას ვუთმობთ საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბების ისტორიასა და პოლიტიკური „თამაშის წესებს“, რომლებიც, ჩვენი აზრით, დიდწილად, დასავლეთის ქვეყნებისთანამშრომლობის პრაქტიკიდან გამომდინარეობს. აგრეთვე, ჩვენ ვცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა აშშ-ევროკავშირსშორის ურთიერთობებში არსებულ გამოწვევებზე. თეთრი სახლის ცვალებადი საერთაშორისო პოლიტიკის (დოქტრინების) გამო, ევროკავშირი წარმოადგენს არამხოლოდ პარტნიორს ვაშინგტონისთვის, არამედ სულ უფრო და უფრო მკაფიოდ აჟღერებს საკუთარ ინტერესებს (შეიძლება ითქვას, საერთაშორისო აქტორის ნიშნებს ავლენს). აღნიშნული წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს - დისერტაციაში ვცდილობთ გამოვიკვლიოთ თანამედროვე ეტაპზე ფორმირებადიევროკავშირის საერთაშორისო ინტერესები, მათი თანხვედრა და წინააღმდეგობა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ხედვასთან.

The doctoral thesis analyzes the foreign political ideologies of the United States of America and the supranational political agenda of the European Union - we have investigated the main political processes that formed the system of transatlantic cooperation. We also pay great attention to the history of the formation of the modern system of international relations and the political "rules of the game", which, in our opinion, largely derive from the practice of cooperation of Western countries. We also tried to focus on the challenges in US-EU relations. Due to the changing international policy (doctrines) of the White House, the European Union is not only a partner for Washington, but also more and more clearly expresses its own interests (it can be said, it shows the signs of an international actor). This is the subject of our research - in the thesis we try to investigate the international interests of the European Union at the modern stage, their compatibility and opposition with the political vision of the United States of America.

58. სადისერტაციო ნაშრომი თვისებრივი კვლევის საფუძველზე, შეისწავლის პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის პრაქტიკულ და თეორიულ ასპექტებს, საქართველოს მაგალითზე. საქართველო არის პატარა სახელმწიფო, რომელსაც სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა და მდიდარი პოლიტიკური ისტორია აქვს, შესაბამისად საკითხის კვლევა საქართველოს სახელმწიფოს მაგალითზე საინტერესოც არის და გამართლებულიც. დისერტაციის ფარგლებში დასმული საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს სახელმწიფოს კონკრეტულ პრაქტიკულ ნაბიჯებთან მიმართებაში, გადამოწმდა საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერებაში ამ მიმართულებით ყველაზე რელევანტური, ამერიკელი მკვლევარის სტეფან უოლტის – საფრთხის წონასწორობის თეორია, რომელმაც ტრადიციული რეალიზმის პრინციპები მნიშვნელოვნად შეარყია და ძალთა წონასწორობის იდეას საფრთხის წონასწორობის იდეა დაუპირისპირა.

Employing a qualitative research approach, the study focused on the practical and theoretical aspects of the foreign policy of small states using the example of Georgia. Georgia is a small state with a strategic geographical location and a rich political history. In relation to the specific practical steps taken by Georgia, in order to fully explore the issue raised in the thesis, the most relevant theory of the balance of threats in international relations was examined. The theory significantly undermined the principles of traditional realism and opposed the idea of the balance of forces with the idea of the balance of threats.

59. დისერტაციაში განხილულია, თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა: „ექსტრადიციის პოლიტიკური განზომილებას საერთაშორისო ურთიერთობებში“. ექსტრადიციის სრულყოფის საშუალებების კვლევა, წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნებსა თუ საქართველოში, ამ მიმართულებით შექმნილი ვითარების ანალიზს. ნაშრომში დასახული პრობლემატიკა, აგრეთვე ითვალისწინებს ექსტრადიციის კვლევის ძირითადი თეორიული მიდგომების და კონცეფციების ანალიზს, პრობლემის სამეცნიერო დამუშავებას და მისი გადაჭრის გზების ძიებას, აღნიშნული მიმართულებით თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების შეთავაზებას როგორც საერთაშორისო ასევე სამართლის სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსებისა თუ თეორეტიკოსებისთვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაშრომში განხილული და გამოკვლეულია ექსტრადიციის ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც სამართლის სისტემის კომპონენტი. იგი იყენებს დოქტრინალურ მიდგომას, კანონიერი დებულებების, ხელშეკრულებების შედარების და ანალიზის გზით, რადგან ისინი ეხება ექსტრადიციის კანონსა და პოლიტიკას. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად ხელშეკრულებების არსებობისა, საერთაშორისო ურთიერთობებში ექსტრადიციის პრაქტიკა სავსეა ეროვნული ინტერესების პოლიტიკით, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სისხლის სამართლის სისტემის მიმართულებას, ხელი შეუწყოს ადეკვატური და დამსახურებული სასჯელის უზრუნველყოფას. პოლიტიკური ექსტრადიციის კვლევა წარმოადგენს უახლესი ისტორიის ფენომენს, რისი საშუალებითაც მკაფიოდ იკვეთება საერთაშორისო სამართლის პრობლემები ქვეყნებს შორის ურთიერთობების დროს. აღნიშნული თავისი

არსით სამართლის პრობლემაა, რომელსაც ვერ აგვარებს საერთაშორისო სამართალი, რის გამოც იგი გადადის პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობების განზომილებაში.

The dissertation discusses one of the most important problems of modern times: "Political dimension of extradition in international relations". The research of the mechanisms of its improvement is an analysis of the situation created in this direction in different countries and in Georgia. The problem set in the paper also provides for the analysis of the main theoretical approaches and concepts of extradition research, the scientific treatment of the problem and the search for ways to solve it, offering theoretical and practical recommendations in the mentioned direction for practitioners and theoreticians working in the field of international law. As already mentioned, the place of extradition in international relations as a component of the legal system is discussed and investigated in the paper. It uses a doctrinal approach, comparing and analyzing statutory provisions and treaties as they relate to extradition law and policy. The paper found that, despite the existence of treaties, the practice of extradition in international relations is full of politics of national interests, which is contrary to the direction of the international criminal justice system, to facilitate the provision of adequate and well-deserved punishment. The study of political extradition is a phenomenon of recent history, through which the problems of international law in relations between countries are clearly defined. This is essentially a legal problem that cannot be solved by international law, which is why it is transferred to the dimension of politics and international relations.

60. წარმოდგენილ ნაშრომში, სახელწოდებით: „გადატვირთვის“ პოლიტიკა აშშ-რუსეთის ურთიერთობებში და მისი შედეგები“, სიღმისეულად განვიხილავთ „გადატვირთვის“ პოლიტიკის არსს, მიზნებს, ამოცანებს, მახასიათებლებსა და თავისებურებებს. გარდა ამისა, ვაანალიზებთ იმ მიზეზებს, რომლებმაც „გადატვირთვის“ პოლიტიკის არსებობის აუცილებლობა განაპირობა; ნებისმიერ განხილულ საკითხს წარმოვადგენთ და განვიხილავთ საერთაშორისო ურთიერთობებთან მიმართებით. უფრო კონკრეტულად, ჩემი კვლევის უმთავრესი მიზანია დავადგინოთ გავლენის ის სფეროები და მასშტაბები, რომლებიც იკვეთება XXI საუკუნეში, აშშ-რუსეთის ურთიერთობებში არა მხოლოდ ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული ინტერესების დონეზე, არამედ საერთაშორისო მასშტაბით.

In my dissertation, entitled: “Reset” Policy in the US-Russian Relations and Its Consequences”, we thoroughly discuss the goals, objectives, characteristics and peculiarities of the “Reset” policy. In addition, we analyze the reasons that led to the necessity of the Russian “Reset”. We present any discussed issue in relation to the international relations. More specifically, the main goal of my research is to determine the impact of the attempt to normalize relations between the USA and Russia in the 21st century, not only on the foreign policy and national interests of the two countries, but also on the international scale.

61. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია ქართულ-ოსური ურთიერთობების ანატომია 1989 წლიდან 2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომის პერიოდის ჩათვლით, ასევე ნაჩვენებია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირებაში და გამოვლენილია ძირითადი ფაქტორები, რომლებიც აღნიშნულ პროცესს უშლიან თუ უწყობენ ხელს. აღწერილია ქართულ-ოსური ურთიერთობები ეტაპობრივად, 2004 წლის ზაფხულის კონფლიქტი და სამშვიდობო ინიციატივები, რომელიც განხორციელდა საქართველოს მხრიდან, დეტალურად არის გაანალიზებული ისტორიული მოვლენა, რომელმაც ბევრი რამ შეცვალა დღევანდელ რეალობაში - 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელიც წარმოდგენილია როგორც გლობალური განზომილება. განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა აღნიშნულ კონფლიქტში, სადაც განვმარტავთ თუ რატომ შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე არსებობს თუ არა კონფლიქტების დარეგულირების პრეცედენტები და დეტალურად მიმოვიხილავთ თეორიულ ჩარჩოს.

The thesis presents the anatomy of Georgian-Ossetian relations from 1989 to the period of the 2008 Russia-Georgia war, it also shows the involvement of international organizations in the settlement of conflicts in Georgia and identifies the main factors that hinder or promote the said process. Georgian-Ossetian relations are described step by step, the summer conflict of 2004 and peace initiatives implemented by Georgia are analyzed in detail, a historical event that changed many things in today's reality - the war of August 2008, which is presented as a global dimension. The involvement of international organizations in the said conflict is discussed in detail, where we explain why international

organizations were created, as well as whether there are precedents for conflict resolution and we review the theoretical framework in detail. We are dealing with the post-war relations between Russia and Georgia in international courts and the role of international organizations.

62. სადისერტაციო ნაშრომი ეხება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შეკავების პოლიტიკის გავლენას საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე, გეოპოლიტიკური ვითარების და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოს სამომავლო პერსპექტივების რეალიზების მექანიზმების კვლევას, მეტადრე საქართველოს თავდაცვის სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით. ნაშრომი ეყრდნობა ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების გამოცდილებას და საქართველოს მიერ ალიანსის წევრობის გზაზე არსებული გამოწვევების და მათი დაძლევის გზების შედარებით ანალიზს. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს ტიტულის, ხელმოწერების, საავტორო უფლებების გვერდებს, რეზიუმეს, შინაარსს, ძირითად ტექსტს და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას. თავის მხრივ, ნაშრომის ძირითადი ტექსტი მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის შედეგებსა და მათ განსჯას, ასევე დასკვნას. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგები და მათი განსჯა შედგება 3 თავისა და 9 ქვეთავისაგან.

The dissertation is about the impact of the North Atlantic Treaty Organization's containment policy on Georgia's security environment, researching the mechanisms for realizing Georgia's future perspectives, taking into account the geopolitical situation, historical experience and the challenges facing the defense system of Georgia. The work is based on the experience of NATO member and partner countries and a comparative analysis of challenges and ways to overcome them on the path of Georgia's membership in the alliance. The dissertation submitted for the academic degree of Doctor includes the title, signatures, copyright pages, abstract, table of contents, main text and list of references. On the other hand, the main text of the paper includes the introduction, literature review, research results and their judgment, as well as the conclusion. The research results of the dissertation work and their judgment consist of 3 chapters and 9 from the subchapter.

63. სადისერტაციო კვლევა ეხება საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს, ორმხრივ ურთიერთობებს ევროკავშირთან, მის რეგიონალურ პროექტებს და შედეგებს საქართველოსთვის. ნაშრომში გადმოცემულია ევროკავშირის სტრუქტურა, ღირებულებები და კომპეტენციები, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის თანამედროვე პროცესები, განხილულია მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები და მათი შესრულების პერსპექტივები. აგრეთვე, გაანალიზებულია საერთაშორისოდ აღებული ვალდებულებების შესრულების ხელისშემშლელ ფაქტორები და მათი სავარაუდო გადაჭრის გზები. ნაშრომში სიღრმისეულად არის შესწავლილი ევროკავშირის 12 რეკომენდაცია საქართველოსთვის, მინიჭებული „ევროპული პერსპექტივა“ და კანდიდატის სტატუსამდე გასავლელი გზა. გარდა ამისა, წარმოდგენილია ევროკავშირის დამოკიდებულება რუსეთ-უკრაინის ომის მიმართ, ხისტი პოლიტიკა და სანქციონირება პაკეტი, აგრეთვე შესწავლილია ომის შედეგად შექმნილი კრიზისის სხვადასხვა ასპექტი.

The dissertation research deals with the European integration process of Georgia, bilateral relations with the European Union, its regional projects and results for Georgia. The paper presents the structure, values and competences of the European Union, the modern processes of Georgia's integration into the European Union, important agreements and the perspectives of their implementation are discussed. Also, the factors hindering the fulfillment of internationally accepted obligations and the possible ways to solve them are analyzed. The paper examines in depth the 12 recommendations of the European Union for Georgia, given a "European perspective" and the path to candidate status. In addition, the EU's attitude towards to the Russia-Ukraine war, the tough policy and sanctions package for Russia are presented, and various aspects of the crisis created by the war are explored.

64. ჩემი სადისერტაციო ნაშრომი, სახელწოდებით: „საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზები და გეოპოლიტიკური შედეგები“ არის მცდელობა სიღრმისეულად დანახული, გაანალიზებული და შეფასებული იქნას მსოფლიოს ყველა დროის, ყველაზე დიდი და ძლევამოსილი იმპერიის - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის

ისტორია, მისი გამომწვევი მიზეზები, მის შემდგომ განვითარებული ინერციული პროცესები და დამდგარი გეოპოლიტიკური შედეგები. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი ნებისმიერი საკითხი განხილული და შეფასებულია საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში. შევეცადეთ მაქსიმალურად ფართოდ და გამოწვლილვით წარმოგვეჩინა სსრკ-ის დაშლის გამომწვევი თუ ხელშემწყობი საგარეო ფაქტორები, ასევე ის საერთაშორისო აქტორები (პერსონები), რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სოციალისტური სისტემისა და საბჭოთა კავშირის დაშლის საქმეში.

This dissertation, named “The causes and geopolitical consequences of the collapse of the Soviet Union” aims to make an attempt to deeply see, analyze and evaluate the history of the world’s largest and most powerful empire of all time – the Soviet Socialist Republic, its causes, the inertial processes that developed after it and emerging geopolitical outcomes. Any research topics or issues presented in the dissertation are discussed and evaluated from the angle of international relations. I tried to present the external factors that caused and contributed to the collapse of the USSR as widely and precisely as possible, as well as those international actors who played an important role in the collapse of the socialist system and the Soviet Union.

65. კვლევის მიზანია ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის კვლევა, მის დარეგულირებაში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის ძირითადი მიმართულებების გამოკვეთა და მისი მეცნიერული გაანალიზება.

კვლევის ამოცანებია:

1. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დაწყების მთავარი მიზეზის დადგენა;
2. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში არაბული ქვეყნების, აშშ-სა და რუსეთის ფედერაციის ინტერესებისა და მიდგომების განხილვა;
3. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირებაში ევროკავშირისა და არაბული ქვეყნების ლიგის ჩართულობის ფორმატების ანალიზი;
4. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირებაში საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების, გაეროს რეზოლუციების მნიშვნელობისა და ეფექტურობის კვლევა.

The purpose of the thesis is to study the Israeli-Palestinian conflict, to outline the main directions of the international community's involvement in its settlement, and to analyze it scientifically.

Research objectives are:

1. To determine the main reason for the beginning of the Israeli-Palestinian conflict;
2. In the Israel-Palestine conflict, the Arab countries, the USA and discussion of the interests and approaches of the Russian Federation;

3. In settling the Israeli-Palestinian conflict, the European Union and Analysis of Arab League engagement formats;

4. International in settling the Israel-Palestine conflict. The importance of legal documents, UN resolutions

and effectiveness research.

66. წინამდებარე ნაშრომი ასახავს ჩინეთის გეოპოლიტიკური ინტერესების განხილვას სამხრეთ კავკასიაში. ნაშრომის მიზანია, ისტორიული ასპექტებიდან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონული ასპექტების გაანალიზება, ასევე ჩინეთის საგარეო პოლიტიკური მიზნების და გეოპოლიტიკური ინტერესების განხილვა. კვლევის მთავარი ამოცანაა ჩინეთის პოლიტიკურ - ეკონომიკური ურთიერთობების განხილვა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან(აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) და ჩინეთის გეოპოლიტიკური ინტერესების განსაზღვრა ამ რეგიონში.

This scientific work reflects the discussion of China's geopolitical interests in the South Caucasus. The aim of the research is to analyze the regional aspects of the South Caucasus countries based on historical aspects, as well as to discuss China's foreign policy goals and geopolitical interests. The main task of the research is to discuss China's political-economic relations with the countries of the South Caucasus (Georgia, Azerbaijan, Armenia) and to define China's geopolitical interests in this region.

67. სადისერტაციო ნაშრომის - „გლობალიზაცია და ეროვნული იდენტობის პრობლემები პატარა სახელმწიფოებში“ - მიზანია მიმდინარე პროცესების სიღრმისეული ანალიზის ფონზე განიხილოს მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ერი-სახელმწიფოს თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემები და მათი მომავალი. ამის საილუსტრაციოდ დისერტაციაში მოტანილია უამრავი მეცნიერის აზრი, რომლებიც ადასტურებენ, რომ მსოფლიოს მრავალი პატარა ერი - სახელმწიფო, ისეთივე, როგორც ჩვენი საქართველოა, მწვავედ განიცდის გლობალიზაციის პროცესების უარყოფით და მომაკვდინებელ გავლენებს.

The purpose of the thesis - "Globalization and problems of national identity in small states" is to discuss the problems of preserving the identity of the nation-state and their future in the context of the in-depth analysis of current processes. To illustrate this, the thesis presents the opinions of many scientists who confirm that many small nation-states of the world, like our Georgia, are acutely affected by the negative and deadly effects of globalization processes.

68. ნაშრომში მეცნიერულად არის გაანალიზებული ნაციონალიზმის სტრუქტურული ტრანსფორმაცია გლობალიზაციის ეპოქაში და მისი არატრადიციული გამოვლინებები, ნაციონალიზმის თანამედროვე ინტერპრეტაციები საერთაშორისო პოლიტიკურ დისკურსში. დისკურსები ნაციონალიზმის ირგვლივ ყოველთვის ცხოველი ინტერესით

გამორჩეოდა. გლობალიზაციის ეპოქაში კი მან ახალი იმპულსი შეიძინა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საერთაშორისო ცხოვრების სტრუქტურულმა ცვლილებებმა ნაციონალიზმის ახალი ფორმების წარმოქმნას შეუწყო ხელი. ნაშრომში გამოვიყენეთ გ. ლუბეს, უ. ალტერმატის, ფ.შმიცერის, ტ. გერის, უ. ალტერმატის, ზ. ბჟეზინსკის, ჟან ფრანსუა ლიოტარის დასხვათა შეფასებები.

The work scientifically analyzes the structural transformation of nationalism in the era of globalization and its non-traditional manifestations, modern interpretations of nationalism in the international political discourse. Discourses around nationalism have always been characterized with great interest. In the era of globalization, it acquired a new impetus. Structural changes in socio-political and international life contributed to the emergence of new forms of nationalism. In the paper we used G. Lubes, U. Altermati, F. Schmitseri, T. Gerry, U. Altermati, Z. Assessments by Brzezinski, Jean-François Lyotard, and others.

69. ნაშრომი ეხება უმნიშვნელოვანეს თემას - ლიბერალიზმის იდეოლოგიურ პარადიგმას და ლიბერალიზმის კრიზისის პრობლემას საერთაშორისო ურთიერთობებში. ნაშრომში განხილულია საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების განვითარების უახლესი ტენდენციები, თანამედროვე სამყაროში უპრეცედენტო გლობალური ცვლილებების კონტექსტში. ყურადღება გამახვილებულია მსოფლიო წესრიგის ლიბერალურ მოდელზე და მასთან დაკავშირებული გლობალიზაციის საწინააღმდეგო ტენდენციებზე, რომლებმაც გაამწვავა კრიზისი.

The article is about the most important topic - the ideological paradigm of liberalism and the problem of the crisis of liberalism in international relations. The article discusses the latest trends in the development of international political processes in the context of unprecedented global changes in the modern world. The focus is on the liberal model of world order and the associated anti-globalization tendencies that have exacerbated the crisis.

70. ნაშრომში განხილულია ნატო-სკენ სწრაფვის პროცესი, როგორც საქართველოს შეკავების პოლიტიკის ინსტრუმენტი, თავდაცვითი შესაძლებლობების განსავითარებლად. საქართველოს სწრაფვას გახდეს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი გააჩნია მრავალმხრივი სიკეთეები ქვეყნის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით. ნატო-საქართველოს ურთიერთობა მოიცავს 30 წელზე მეტხან პერიოდს და 15 მსხვილ პროგრამას რომელიც მიმართულია ქვეყნის სამხედრო, დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებისაკენ. ნაშრომში, ასევე განხილულია ნატო-ს როლი სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით საერთაშორისო არენაზე.

The research discusses the process of striving towards the NATO, as an instrument of the deterrence policy of Georgia, for developing defense capacities. The aspiration of Georgia to become a member of NATO has many benefits for the country's institutional development. The NATO-Georgia relationship covers more than 30 years and 15 major programs aimed at the

country's military, democratic and economic development. The research discusses the international role of NATO in ensuring stability and security.

71. სადისერტაციო კვლევის მიზანს წარმოადგენს, გაანალიზოს ნატოს როლი ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში, მიმდინარე გამოწვევები და სამხედრო-პოლიტიკური ბუნების ტრანსფორმაციის ეტაპები. საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციის ნატოს დანიშნულებიდან, მისიდან და მის როლიდან გამომდინარე საერთაშორისო ურთიერთობებში, ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში.

The aim of the dissertation research is to analyze the role of NATO in the process of formation of the new world order, the current challenges and the stages of transformation of the military-political nature. The relevance of the research topic is determined by the purpose, mission and role of NATO, the most important international organization in the world, in international relations, in the process of forming a new world order.

72. კვლევის მიზანია ევროპის რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის პოლიტიკური ანალიზი და გავლენა საერთაშორისო უსაფრთხოებაზე. საერთაშორისო არენაზე დღეს შექმნილი ურთულესი ვითარებიდან გამომდინარე ამერიკის შეერთებული შტატების რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის შექმნას აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. რუსეთის მიერ უკრაინაში გაჩაღებული ომის დაწყების შემდეგ ამ თემის აქტუალობა საგრძნობლად გაიზარდა. ცხადი გახდა, რომ ევროპას მართლაც სჭირდებოდა ეფექტური თავდაცვითი ფარის შექმნა, რომელიც არა მარტო ევროპული, არამედ საერთაშორისო სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში დიდ წვლილს შეიტანდა.

The aim of the study is the political analysis of the European anti-missile defense system and its impact on international security. Due to the most difficult situation created today in the international arena, the creation of the anti-missile defense system of the United States of America is of great importance in the territory of Eastern Europe. After the start of the war in Ukraine by Russia, the relevance of this issue increased significantly. It became clear that Europe really needed to create an effective defense shield, which would make a great contribution to ensuring not only European but also international stability.

73. სადისერტაციო ნაშრომში, მეცნიერულ კვლევაზე და მოპოვებულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია სამხედრო დიპლომატიის არსი, ფუნქცია, მნიშვნელობა და როლი, როგორც ცალკეულ ქვეყნებს შორის ასევე კოლექტიური უსაფრთხოების კონტექსტში, ასევე განხილულია ის მექანიზმები, რითიც ხორციელდება სამხედრო დიპლომატია. კვლევაში სამხედრო დიპლომატიის ზოგადი არსი, სამხედრო დიპლომატიის ძირითადი მიზნები და ამოცანები განხილული და ახსნილია პიტერ მარშალის თეორიის შუქზე. მისი შეხედულება დიპლომატიის

კონცეფციის გამოყენების მიმართულებაზე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი ხდება ქვეყნის მიერ დიპლომატიური ძალისხმევისთვის საჭირო მოქმედებებისა და რესურსების ერთიან ჭრილში განხილვა, იმის გათვალისწინებით, რომ სამხედრო დიპლომატია საერთო დიპლომატიის ნაწილს წარმოადგენს.

Based on scientific research and actual material In the thesis, are studied and analyzed the essence, function, meaning and role of military diplomacy, both between individual countries and in the context of collective security, as well as the mechanisms by which military diplomacy is implemented. The general essence of research military diplomacy, the main goals and objectives of military diplomacy are discussed and explained in the light of the theory of Peter Marshall. Regarding the direction of application of Military Diplomacy, which is important to the extent that it renders possible the consideration of the actions and resources essential for the country in order to realize diplomatic efforts in a unified perspective, considering the fact that Military Diplomacy is indeed a part of general diplomacy.

74. ჩვენი კვლევის მიზანია სპარსეთის ყურეში აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების გამოკვეთა და მეცნიერული გაანალიზება. ნაშრომში გაანალიზებულია ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური ინტერესების თავისებურებები სპარსეთის ყურის რეგიონში. განსაზღვრულია აშშ-ს როლი სპარსეთის ყურის გეოპოლიტიკური კონფიგურაციის ცვლილებაში.

The purpose of the research is to outline and scientifically analyze the main principles and directions of US foreign policy in the Persian Gulf. The article analyzes the peculiarities of the national interests of the United States of America in the Persian Gulf region. The role of the US in changing the geopolitical configuration of the Persian Gulf is defined.

75. ნაშრომში გაანალიზებულია კორუფცია როგორც პოლიტიკური ფენომენი, თემის კვლევისას გამოკვეთილი იქნა პრობლემები და მისი გადაჭრის გზები. ასევე საუბარია ლობიზმის, როგორც საზოგადოებრივ- პოლიტიკური მოვლენის, სხვადასხვა ასპექტებზე, მის არსსა და რაობაზე, მექანიზმებზე და შეჯერებულია ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის ქვეყნებისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პრაქტიკული მაგალითები. ყურადღება გამახვილებულია ლობიზმის სამართლებრივი რეგულირების ასპექტებზე და მახასიათებლებზე, აგრეთვე ლობიზმის ქართულ რეალობაზე დასამომავლო პერსპექტივებზე. კვლევა გამდიდრებულია სხვადასხვა წყაროთი. გარდა ამისა, ნაშრომში ხაზგასმით არის აღნიშნული ლობიზმისა და კორუფციის დიფერენცირების უკიდურესი მნიშვნელობა. რეკომენდაციების სახით, მოცემულია რა შეიძლება გაკეთდეს ლობიზმის როგორც ინსტიტუტის და მექანიზმის სრულყოფისთვის როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

In the thesis corruption as a political phenomenon is summarized and analyzed, problems and ways to solve it were identified during the research of the topic. It also talks about various aspects

of lobbying as a social and political event, its essence and nature, mechanisms, and practical examples of the United States of America, European countries and South Caucasus countries are compared. Attention is focused on the aspects and characteristics of the legal regulation of lobbying, as well as on the Georgian reality and future perspectives of lobbying. The research is enriched by various sources. In addition, the paper emphasizes the extreme importance of differentiating between lobbying and corruption. In the form of recommendations, it is given what can be done to improve lobbying as an institution and mechanism both in Georgia and in foreign countries.

76. სადისერტაციო ნაშრომში- „კონფლიქტის გადაწყვეტის საერთაშორისო გამოცდილება და აფხაზეთის კონფლიქტი“, განხილულია კონფლიქტების მოგვარების საერთაშორისო გამოცდილება. სამშვიდობო მექანიზმები და პოზიტიური მშვიდობის კონცეფციები, მშვიდობის ხელშეწყობასა და კონფლიქტების მოგვარებაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი. დასკვნაში შეჯამებულია კვლევის შედეგები და მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები. ყურადღება გამახვილებულია, ყოვლისმომცველი და კოორდინირებული მიდგომის აუცილებლობაზე, რომელიც ეხება კონფლიქტის გამომწვევ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებს. ხაზგასმულია სამშვიდობო პროცესში ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისა და გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადი საერთაშორისო ჩართულობის აუცილებლობა. კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის ახალი მიდგომები დაკავშირებულია მხარეთა შორის ურთიერთობების დათბობით, მათი ინტერესების გათვალისწინებით და კონსენსუსის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯების შემდგომი სრულყოფით, შესაძლებელია ქართულ-აფხაზეთური კონფლიქტის ეფექტური, პოზიტიური ტრანსფორმაცია და სამომავლოდ მშვიდობის მშენებლობის პროცესის წარმატებით დასრულება.

In this doctoral thesis - "International experience of conflict resolution and the conflict in Abkhazia", the international experience of conflict resolution is discussed. Peace mechanisms and concepts of positive peace, the role of international organizations in peace promotion and conflict resolution. The conclusion summarizes the research results and gives specific recommendations. Attention is focused on the need for a comprehensive and coordinated approach that addresses the political, economic and social factors that cause the conflict. The need for local stakeholders and long-term sustainable international engagement in the peace process is emphasized. New approaches to the peaceful resolution of the conflict are related to the warming of relations between the parties, taking into account their interests and further perfecting the steps taken to achieve consensus, it is possible to effectively and positively transform the Georgian-Abkhazian conflict and successfully complete the peace building process in the future.

77. ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია, სადაც საერთაშორისო ურთიერთობების უმსხვილეს აქტორთა ინტერესები ერთმანეთს ეჯახება. ამგვარ აქტორთა შორის გამოვყოფთ აშშ-სა და რუსეთს, თუმცა ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთის მიმართ დიდ ინტერესს იჩენს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაც,

რომელმაც რეგიონში არაერთი სიტუაციის განმუხტვას შეუწყო ხელი. აშშ-ს ახლო აღმოსავლური და ცენტრალურ-აზიური პოლიტიკა პირდაპირ გავლენას ახდენს რუსულ-ამერიკულ და ირანულ-ამერიკულ ურთიერთობებზე.

The Middle East is one of the most important regions of the world, where the interests of the largest actors of international relations collide. Among such actors, we single out the USA and Russia, although recently the People's Republic of China has also taken a great interest in the Middle East, which helped to ease many situations in the region. US Middle Eastern and Central Asian policies directly affect Russian-American and Iranian-American relations.

78. ევრაზიულ სივრცეში ინტეგრაციული პროცესების შესახებ, თავიდან ბევრი პოლიტიკური ექსპერტი სკეპტიკურად იყო განწყობილი. დრომ აჩვენა, რომ ევრაზიული ინტეგრაცია რეალობა იყო, თანაც ეს იყო არა ხელოვნური მოვლენა, არამედ ბუნებრივი ინტეგრაციული პროცესი. საბჭოთა კავშირში ერთად ყოფნის გამოცდილებამ რუსეთს შესაძლებლობა მისცა ეაქტიურა ევრაზიული მიმართულებით. თავიდან რუსეთს ყველა გაურბოდა. ეს ტენდენცია საქართველომ და უკრაინამ (რომელიც ახლა ომშია რუსეთთან) ბოლომდე შეინარჩუნა. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა კი საერთოდ თავი დააღწიეს მას და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანდნენ. მაგრამ სულ სხვა ვითარება შეიქმნა ცენტრალურ აზიაში. ეს სახელმწიფოები ნელ-ნელა დარწმუნდნენ, რომ ევრაზიული მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები მათთვისაც მომგებიანი იყო. ამ მიმართულებით დიდი როლი ითამაშა ყაზახეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი, ეს არის „მტკიცე რგოლი, რომელიც განვითარების ევროატლანტიკურ და აზიურ არეალს ერთმანეთთან აკავშირებს“.

At the beginning, many political experts were skeptical about the integration processes in the Eurasian space. Time has shown that Eurasian integration was a reality, and it was not an artificial phenomenon, but a natural integration process. The experience of being in the Soviet Union together with other republics, gave Russia the opportunity to successfully promote the idea of Eurasian Union. At first, everyone avoided Russia. Georgia and Ukraine (which is now at war with Russia) kept this approach until the end. The Baltic republics totally got rid of Russian influence and joined the Euro-Atlantic structures. But a completely different situation developed in Central Asia. The Central Asian states gradually became convinced that close Eurasian economic relations were beneficial for them as well. The then president of Kazakhstan, Nursultan Nazarbayev, played a big role in this direction. He noted that the Eurasian economic union is "a strong link that connects the Euro-Atlantic and Asian areas of development".

79. ნაშრომი აქტუალურია საქართველოს, როგორც „რუხი ზონისა“ და ჰიბრიდული ომის მსხვერპლი სახელმწიფოსთვის, რამდენადაც დიდი გეოპოლიტიკური თამაშის ერთგვარი ნაწილია, იმ თვალსაზრისით, რომ დიდი მოთამაშეები ცდილობენ მასზე გავლენის მოპოვებას. აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია ჰიბრიდული ომის

მსხვერპლი ქვეყნის პოზიციიდან განხორციელებული შეფასებები არსებულ რისკებთან დაკავშირებით, ისევე, როგორც სავარაუდო მოსალოდნელი პროგნოზები თითოეულ წარმოქმნილ პოლიტიკურ პრობლემასთან მიმართებაში.

The issue is all the more relevant for Georgia as a victim of a hybrid war, which is itself a so-called „Gray Zone“, as it is a part of the big geopolitical game, in the sense that the big players are trying to gain influence over it. Therefore, it is very important to evaluate the risks from the position of the country victim of the hybrid war, as well as the expected forecasts for each political problem that arises.

80. სადისერტაციო ნაშრომში „ხელოვნური ინტელექტი - თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევა“, გაანალიზებული და შესწავლილია ხელოვნური ინტელექტის როგორც შესაძლებლობები, ასევე მისგან მომავალი რისკები გლობალური მშვიდობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამ გლობალურ გამოწვევაზე პასუხად შემოთავაზებულია კოენის კოლექტიური უსაფრთხოების მოდელი. დასაბუთებულია კოლექტიური საერთაშორისო ხელოვნური ინტელექტის ორგანიზაციის ჩამოყალიბების აუცილებლობა და წარმოდგენილია ამ ორგანიზაციის სტრუქტურული და მინაარსობრივი კონცეფცია.

In the thesis "Artificial intelligence - the challenge of modern international security", both the possibilities of artificial intelligence and future risks from the point of view of globalCohen's model of collective security is proposed as a response to this global challenge. The need to establish a collective international artificial intelligence organization is substantiated and the structural and content concept of this organization is presented. peace and security are analyzed and researched.

81. წარმოდგენილ ნაშრომში სახელწოდებით „სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური განზომილება, საქართველოს დაბალანსების პოლიტიკა და უარყოფით მარკერთა რეესტრი“ სიღრმისეულად განვიხილავთ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. გამოკვლეულია მათი ნეგატიური შედეგები და უარყოფით მარკერთა რეესტრის გამოყენებით, შესაძლებლობა გვეძლევა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხეები, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისას და, ასევე, შევინარჩუნოთ ქვეყანაში სიმშვიდე და სტაბილურობა დაბალანსების პოლიტიკის გამოყენებით.

In the presented work entitled "The Geopolitical Dimension of the South Caucasus Region, the Balancing Policy of Georgia and the Register of Negative Markers", we deeply examine international agreements that played an important role in the political life of Georgia. Their negative consequences have been studied, and the use of the negative marker registry provides us with the opportunity to avoid expected threats, when concluding international agreements, while the balancing policy - to maintain peace and stability in the country.

82. ნაშრომი შეისწავლის და იკვლევს რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის რესპუბლიკის თანამდეროვე ურთიერთობების დინამიკასა და ძირითად მიმართულებებს, ფაქტორებს, რომლებიც მიუხედავად ქვეყნებს შორის არსებული კონკურენციისა, წინააღმდეგობებისა და ზოგიერთ შემთხვევაში ინტერესთა შეუთანხმელობისა, ხელს უწყობს მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობას, მათ ინტერესებს საქართველოში და პოლიტიკას, რომელსაც ისინი აწარმოებენ საქართველოში გავლენების მოსაპოვებლად.

The thesis is about relationship dynamic, main directions and factors of the Russian federation and the Republic of Turkey, those, despite of existing concurrency, resistances and in some cases existing of interests' conflict support close partnership, their interests towards Georgia and the policy for having influence over it.